განმარტებითი ბარათი

თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 28 დეკემბრის № 70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული პროექტი ეხება სოციალური პროგრამების წლის ბოლომდე განსახორციელებლად, პროგრამებს შორის თანხების გადანაწილებას, ამასთანავე, პროექტი ითვალისწინებს თანხების მობილიზებას მუნიციპალიტეტში არსებული ხევების (დოლიაურის, დიდხევის, „უსახელო ხევი“ და „ჭიჭაყვის ხევი“) ნაპირსამაგრი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაძენად, ქ. თელავში კიკვიძის მეორე ჩიხში სანიაღვრე არხის მოსაწყობად, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და თელავის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების თანახმად, თანხის გადასახდელად, ა(ა)იპ უმწეოთა და უპოვართა სამსახურის წლის ბოლომდე ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად დაფინანსების გაზრდას და ა(ა)იპ ჭიდაობის სპორტული სკოლა „თელავი“-ს დაფინანსებისათვის სხვადასხვა რანგის ტურნირებში მონაწილე წარმატებული სპორტსმენებისათვის ჯილდოს გაცემის მიზნით. აგრეთვე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 ოქტომბრის N2271 განკარგულებით, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 04 ოქტომბრის N2126 განკარგულებით, „ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N554 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე გამოყოფილი თანხების დაზუსტებას.

მოხდეს ცვლილება ბიუჯეტის შემოსულობებში:

კერძოდ,

შემცირდეს გრანტების მუხლი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი - 37,511ათ. ლარით, (საფ. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 04 ოქტომბრის N2126 განკარგულება და 2019 წლის 30 ოქტომბრის N2271 განკარგულება);

ბიუჯეტი განისაზღვროს 38281,02 ათ. ლარის ოდენობით.

მოხდეს ცვლილება ბიუჯეტის გადასახდელებში:

შემცირდეს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის (კოდი 03 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 28.0 ათ. ლარით, ტენდერიდან დარჩენილი ეკონომიის გათვალისწინებით;

შემცირდეს გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის (კოდი 03 02 02) საქონელი და მომსახურების მუხლი 7.241 ათ. ლარით (გარე განათებაზე გახარჯული ელ. ენერგიის დაფინანსების ფაქტიური ხარჯვის შედეგების გათვალისწინებით);

შემცირდეს წყალმომარაგების ღონისძიებების (კოდი 03 02 06) საქონელი და მომსახურების მუხლი 18.0 ათ. ლარით (სასმელი წყლის ჭაბურღილებზე გახარჯული ელ. ენერგიის დაფინანსების ფაქტიური ხარჯვის შედეგების გათვალისწინებით);

შემცირდეს გარემოს დაცვის ღონისძიებების (კოდი 03 02 03 03) საქონელი და მომსახურების მუხლი 16,25 ათ. ლარით, ტენდერიდან დარჩენილი ეკონომიის გათვალისწინებით;

შემცირდეს სოციალურად დაუცველ პირთა დახმარების (06 02 02 02) სოციალური უზრუნველყოფის მუხლი 30,0 ათ. ლარით (საფ. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის 2019 წლის 19 ნოემბრის N1998 მოხსენებითი ბარათი);

შემცირდეს მგფ-ის და სხვა დავალიანებების დაფარვის (კოდი 01 04 01) პროცენტის მუხლი 2,948 ათ. ლარით და გაიზარდოს ვალდებულების კლების მუხლი 17,689 ათ. ლარით, სსიპ საქართველოს

მუნიციპალური განვითარების ფონდსა და თელავის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში, თანხების გადახდის მიზნით.

გაიზარდოს სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის (კოდი 03 02 05) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 25,0 ათ. ლარით, მუნიციპალიტეტში არსებული ხევების (დოლიაურის, დიდხევის, „უსახელო ხევი“ და „ჭიჭაყვის ხევი“) ნაპირსამაგრი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენის მიზნით;

გაიზარდოს ჩამდინარე წყლების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ღონისძიებების (კოდი 03 02 03 02) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 3,0 ათ. ლარით, ქ. თელავში კიკვიძის მეორე ჩიხში სანიაღვრე არხის მოწყობის მიზნით;

გაიზარდოს სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობის (კოდი 05 01 02) სუბსიდიის მუხლი, კერძოდ, ა(ა)იპ ჭიდაობის სპორტული სკოლა „თელავი“-ს სუბსიდიის მუხლი 18,75 ათ. ლარით, სხვადასხვა რანგის ტურნირებში მონაწილე წარმატებული სპორტსმენებისათვის ჯილდოს გაცემის მიზნით (ვეტერან-ძიუდოისტი დავით თვალიაშვილი, სამბოს მოჭიდავე -ანზორ სიდამონიძე, მოკრივე გია მითაგვარია, სამბოს მოჭიდავე ვახტანგ ჩიდრაშვილი);

გაიზარდოს უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსების (კოდი 06 02 03) სუბსიდიის მუხლი, 8,0 ათ. ლარით, მიმდინარე ხარჯების დაფინანსების წლის ბოლომდე უზრუნველსაყოფად;

გაიზარდოს სამედიცინო და მედიკამენტებით დახმარების ღონისძიებების (კოდი 06 02 10) სოციალური უზრუნველყოფის მუხლი 30,0 ათ. ლარით პროგრამის შეუფერხებლად განსახორციელებლად;

შემცირდეს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის (კოდი 03 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 19,695 ათ. ლარით (საფ. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 ოქტომბრის N2271 განკარგულება);

შემცირდეს ბინათმშენებლობის ღონისძიებების (კოდი 03 02 01) სხვა ხარჯების მუხლი 2,263 ათ. ლარით (საფ. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 ოქტომბრის N2271 განკარგულება);

შემცირდეს წყალმომარაგების ღონისძიებების (კოდი 03 02 06) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 15,094 ათ. ლარით (საფ. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 ოქტომბრის N2271 განკარგულება);

შემცირდეს ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებების (კოდი 06 01 02) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 0.459 ათ. ლარით (საფ. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 04 ოქტომბრის N2126 განკარგულება);

საფინანსო - საბიუჯეტო

სამსახურის უფროსი ნ. ვაყელიშვილი